Metropolitan Herman, Primate

P.O. Box 675
Syosset, NY 11791-0675
Tel: 516.922.0550
Fax: 516.922.0954
Website: www.oca.org

აღდგომა ქრისტესი, 2006 წ.

ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე!

ეოვლადსამღვდელო მღვდელმთავრებს, მოძღვართ, დიაკონთ, ბერ-მონოზონთ, ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთივკურთხეულ სულიერ შვილებს:

"აღგომისა დღე არს, განვბრწყინდებოდეთ დღესასწაულსა ამას და ურთიერთარს ძევიტკბოთ
და ვრქუათ ძმათა ჩვენთა, მოძულეთაცა ჩვენთა შეუნდოთ ყოველი აღდგომასა!"

ქრისტეში საყვარელნო!

დიდი მარხვის დაწყების წინ, შენდობის კვირიაკეს, ჩვენ ურთიერთს შევუნდეთ ცოდვები რითაც კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნეთ რომ მიტევება სინანულისაკენ გადადგმული პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია. დღეს ვზეიმობთ რა აღდგომას, ამავე დროს უფლის ცარიელი საფლავიდან მომავალ ცოდვათა მიტევების ძალასაც ვაღიარებთ, მიტევებისა რომელიც დაეოფისა და დანაწევრების ზღუდეებს არღვევს და ბრძანებს მეგობარი და მტერიც კი გულში ჩავიკრათ, მისთვის ვინც მის ღვთაებრივ ბუნებასთან თანაზიარებისაკენ მოგვიწოდებს. ამ დღეს ჩვენ უბრალოდ წარსულში მომხდარ რაღაც მოვლენას კი არ ავღნიშნავთ არამედ მოვლენას რომელიც თავისი არსითა და შინაარსით სცდება დროსა და განზომილებას. აქედან გამომდინარე ჩვენ იდუმალად იმ რეალობის თანამონაწილენი ვხდებით რომელიც მარადჟამ ჩვენთანაა, რომელმაც არ იცის რა არის დრო, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს წარსულსა და მომავალს დაუსრულებელ ზეიმში სიყვარულისა რომლის მსგავსი კაცობრიობას არც კი გაუგონია. ჩვენ ერთსა და იმავე დროს მენელსაცხებელ დედებთან ერთად უფლის საფლავთან ვდგევართ და ცათა სასუფეველშიც ვიმყოფებით.მკვდრეთით აღმდგარი უფალი მოგვიწოდებს ურვა ამა სოფლისა დავივიწყოთ და მზერა მივაპყროთ ცათა სასუფეველს.

ვნებათაღელვანი,შური,ამპარტავნება დაზიზღი უაზრობად წარმოჩინდება როგორც კი თანაზიარნი ვხდებით უფლის გამარჯვებისა და ახალი ცხოვრებისა რომელსაც რაიმე სასყიდელის გარეშე გვიბოძებს ქრისტე. ისევე როგორც დიდი მარხვა ურთიერთშენდობით დავიწყეთ, აღდგომაც აღსრულდა ცოდვათა მიტევებით.წმიდა მამები შეგვახსენებენ რომ მივეახლებით რა ერთმანეთს სიყვარულით იმ წამს ღვთის სიყვარულის ცეცხლი გაგვწმენდს.ადამიანი გულში სიცივესა და სიმძიმეს გრძნობს თუ პატიების მიღებას ლამობს მაგრამ უარს ამბობს სხვას აპატიოს, თუ არ სურს მოყვასს სიყვარულით მიუდგეს და მიუტევოს მას შეცოდებანი.

იმის თქმა რომ დღეს სიმულვილითა და ბოროტებით მოცულ სამყაროში ვცხოვრობთ მდგომარეობის სიმძიმეს სრულად ვერ გამოხატავს.ახალ ამბებში ყოველდღე გვიჩვენებენ ომის, შიშის, სისხლისღვრის,სისასტიკისა და სიკვდილის ამსახველ კადრებს. სული ამასოფლისა აგრესიას როგორც ძალას ხოლო მიტევებასა და შერიგებას როგორც სისუსტეს ისე მოიაზრებს.მიუხედავად ამისა ამ ქაოსის შუაგულში უფლის დაცარიელებული საფლავი ბრწყინვალე ნათლით ანათებს მათში ვინც ქრისტეს გზას

შეუდგა, გზას მაცხოვრის ნათლისა რომელსაც წუვდიადი ვერასოდეს დაამარცხებს და რომელიც მოგვიწოდებს ამ ნათელს კაცობრიობა ვაზიარროთ.

 დაე, ღმერთმა ღირსნი გაგვხადოს ამ მოწოდებისა და მაცხოვრისა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ ცოდვების მიტევებისა რომელსაც იგი ასე გულუხვად გვიბოძებს. დაე, მისი ზეციური სასუფევლის მარადიულმა სიხარულმა დაისადგუროს ჩვენს გულებში და ჩვენი მოლოდინისაებრ აღმდგარ მაცხოვარში აღსრულდეს ჩვენი სასოება.

აღდგომილმა მაცხოვარმა დაგლოცოთ.

ქრისტესმიერი სიყვარულით,

+ ჰერმანე
ვაშინგტონის მთავარეპისკოპოსი,
სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტი.